საქართველო
ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

N 42 61 27/11/2020

ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის სამსახურის 2020 წლის ანგარიში მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული (და ამავდროულად მცხოვრები) მოსახლეობის ჯანდაცვითი და სოციალური პროგრამების შემუშავებისა და მათი განხორციელების მიზნით გაწეული მუშაობის შესახებ

,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ საქართველოს ორგანული კანონის 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ.ა“ ქვეპუნქტის და 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე: ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

1. ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის სამსახურის 2020 წლის ანგარიში მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული (და ამავდროულად მცხოვრები) მოსახლეობის ჯანდაცვითი და სოციალური პროგრამების შემუშავებისა და მათი განხორციელების მიზნით გაწეული მუშაობის შესახებ შეფასდეს დადებითად (ანგარიში თან ერთვის).

2. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ქუთაისის საქალაქო სასამართლოში მისამართზე: ქ. ქუთაისი კუპრაძის ქ. N 11, ხელმოწერიდან ერთი თვის ვადაში.

შალვა მშვილდაძე

საკრებულოს თავმჯდომარე